



საქართველოს ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

განცხადება არჩევნების მეორე ტურთან დაკავშირებით

საქართველოში, თვითმართველობის არჩევნების მეორე ტურების ჩატარების შედეგად ვითარება უკიდურესად დაიძაბა. ჩვენი შეფასებით ის მწვავე სამოქალაქო დაპირისპირების ზღვარზეა.

მიგვაჩნია, რომ საქართველოს მშვიდობიან, დეკრეტიულ, პროდასავლურ განვითარებას ალტერნატივა არ გააჩნია. ვთვლით, რომ ჩატარებული არჩევნები ვერ პასუხობს ამ მოთხოვნებს. ამდენად მნიშვნელოვანია, ამ ეტაპზე სახელმწიფო ორგანოებმა, მათ შორის საარჩევნო კომისიებმა, სამართალდამცავებმა იმოქმედონ კეთილსინდისიერად, კანონის ფარგლებში. პირველ რიგში გამოავლინონ და დასაჯონ ყველა პირი რომელიც ძალადობდა და შეურაცყოფას აყენებდა მედიის წარმომადგენლებსა და დამკვირვებლებს.

ამასთანავე, საჭიროა დაუყონებლივ გაეცეს პასუხი ამომრჩევლების მოსყიდვის თაობაზე არაერთ ინფორმაციასა თუ ბრალდებას, რაც არათუ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს აყენებს შეურაცყოფას, არამედ საქართველოს თითოეული მოქალაქისათვის არის დამამცირებელი.

მოვუწოდებთ საარჩევნო კომისიებს, პირველ რიგში ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, არცერთი საჩივარი დატოვოს მიუკერძოებელი გადაწყვეტილების გარეშე, გამოავლინოს ყველა დარღვევა, და არ გაიმეოროს წინამორბედების შეცდომები უბნების ხელახალ გადათვლასთან დაკავშირებით.

ვფიქრობთ, რომ არაჯანსაღი, ფეთქებადი და სტაბილურობისა და დემოკრატიული განვითარებისთვის ძალზედ საშიში ვითარება გამოწვეულია პოლარიზაციის უკიდურესად მაღალი ხარისხით, რასაც სამწუხაროდ პოლიტიკური ძალები უწყობენ ხელს, თუმცა მთავარი პასუხისმგებელი სახელისუფლებო ძალაა, რომელიც არაერთ, მათ შორის მიუღებელ ბერკეტს იყენებს სრული ძალაუფლების შენარჩუნებისათვის, რაც ჩვენი აზრით დემოკრატიული მმართველობის პრინციპებს არ შეესაბამება.

ჩვენ არ გვჭირდება არც ერთპარტიული სახელისუფლებო ინსტიტუტები, რისი პერსპექტივაც კიდევ უფრო იკვეთება, და არც დესტაბილიზაცია, რაც ხელს შეუშლის საქართველოს განვითარების დასავლურ ვექტორს და ხელს შეუწობს რუსული გავლენების ზრდას.

მოვუწოდებთ პოლიტიკურ ძალებს, არ გასცდნენ კონსტიტუციის ფარგლებს, მხოლოდ მშვიდობიანი ფორმებით, ასევე დიალოგის გზით, ჩვენი საერთაშორისო პარტნიორობისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობით გადაწყვიტონ არსებული პრობლემები.

საქართველოს ეროვნული პლატფორმის საკოორდინაციო საბჭო.